# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ახალქალაქის მუნიციპალიტეტის

## საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 28 14 12/11/2019

### ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და 141-ე მუხლის მე-11 ნაწილის, საფუძველზე, ასევე „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 , „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N261 დადგენილებებისა და საქართველოს ზოგადი ადმნნისტრაციული კოდექსის 60$^{1}$ მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის სივრცითი მოწყობის გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ამ განკარგულების გამოცხადების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ახალქალაქის მუნიციპალატეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №24 14 განკარგულება „ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“
3. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნაირი ირიციან

საკრებულოს თავმჯდომარე